ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4741067

ნომერი: AR1716165

თარიღი : 01.11.2019

გაცემის თარიღი : 06.11.2019

გაცნობის თარიღი : 07.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 33გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ჭუბაბრია პ/ნ 35001027344
- რუსთავი ალ.ყაზბეგის II ჩიხი N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - თქვენს მიერ ატვირთულია ძველი, 10.10.2019 წ. AR1712074 განაცხადზე ატვირთული არსებული სიტუაციის ასმახველი ფოტომასალა. უნდა ატვირთოთ ახალი დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადაღების თარიღი.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებულ ფოტოზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით. ასევე წარმოადგინეთ ახლო ხედიდან და წინა ხრიდან გადაღებულ ფოტოზე დამუშავებული მონტაჟიც. თქვენ მითითებული გაქვთ მარტო ჭიშკრის ზომა (ისიც სრულად არ არის). წარმოდგენილი მონტაჟით ხდება ღობის რეკონსტრუქციაც და შესაბამისად ღობის ზომებიც უნდა მიუთითოთ.

გაითვალისწინეთ: „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების 37–ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს. ღობის სიმაღლეში არ იანგარიშება მისი კონსტრუქციული მდგრადობისთვის განკუთვნილი დგარები ან/და სვეტები, რომელთა სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან არ აღემატება 2.5 მ-ს, კვეთის ზომები არ აღემატება 40 სმ-ს და დაშორება სვეტებს შორის არ არის 2,0 მ-ზე ნაკლები.

3. ვინაიდან ტერიტორიაზე ვრცელდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, შესაბამისად წარმოსადგენი იქნება შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს თანხმობა ღობის რეკონსტრუქციაზე

4. მინდობილობა დრეის მდგომარეობით ვადაგასულია. საჭიროა განახლებული მინდობილობის წარმოდგენა

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge